# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

## კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ

სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა

და

სსიპ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას

შორის

2024 წელი
საქართველო, ქ. თბილისი

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (შემდგომში – მემორანდუმი) ხელმოწერილია 2024 წლის 18 სექტემბერს ქალაქ თბილისში,

ერთი მხრივ,
**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას** (საიდენტიფიკაციო კოდი: 204400200, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19; შემდგომში – **კომისია**), წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანიას მიერ, და,
მეორე მხრივ,
**საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს** (საიდენტიფიკაციო კოდი: 205310938, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154; შემდგომში – **სააგენტო**), წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძის მიერ, შორის.

### მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

ამ მემორანდუმის საგანია სფეროებში ენერგეტიკის (ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების) სფეროში კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების, კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობის, მომხმარებლის უფლებების დაცვის პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის, დარღვევების პრევენციისა და მომხმარებელთა დარღვეული უფლებების აღდგენის, კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით არსებული ინფორმაციის გაცვლა. ასევე მხარეების რეგულირებას დაქვემდებარებულ სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით ურთიერთანამშრომლობა.

### მუხლი 2. მემორანდუმის ამოცანები

ამ მემორანდუმის მიზნების მისაღწევად მხარეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობენ ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

### მუხლი 3. ინფორმაციის გაცვლის წესი

ამ მემორანდუმის ფარგლებში ინფორმაციის, მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლა შესაძლოა განხორციელდეს როგორც წერილობით (მატერიალურად), ასევე ელექტრონული ფორმით შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით:
ა) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნული კომისია“ - mail@gnerc.org;
ბ) საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო - info@gcca.gov.ge.

**მუხლი 4. კონფიდენციალურობა**

1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯარო, მიიჩნევა კონფიდენციალურ ინფორმაციად.
2. თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება უვადოდ ინარჩუნებს იურიდიულ ძალას წინამდებარე მემორანდუმის შეწყვეტის შემდეგაც.

**მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
2. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობით შეთანხმების საფუძველზე.
3. მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია მხარის მიერ მეორე მხარისთვის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, ამგვარი შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ.
4. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით. ცვლილებები ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.
5. საკითხები, რომელებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მემორანდუმით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე მხარეთა შორის ურთიერთობა ყალიბდება ურთიერთპატივისცემის საფუძველზე და მხარეები არ არიან სამართლებრივად შებოჭილი ამ მემორანდუმის დებულებებით.
7. წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერით ძალადაკარგულად ცხადდება მხარეთა შორის 2017 წლის 7 ნოემბერს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი.
8. მემორანდუმი გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

**მხარეთა ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია** | **საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო** |
| **თავმჯდომარე დავით ნარმანია** | **თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე** |